

DOI - ციფრული ობიექტის იდენტიფიკატორი

რა არის DOI

DOI (Digital Object Identifier) ინტერნეტში განთავსებული ელექტრონული დოკუმენტის აღრიცხვის სტანდარტია. მასში შედის: დოკუმენტის მისამართი (მაგ. URL), დასახელება, ობიექტის სხვა იდენტიფიკატორები (მაგ. ISBN, ISSN) და ობიექტთან ასოცირებული მეტამონაცემები სტრუქტურული და გაფართოებული სახით.

DOI მეცნიერთა შორის ინფორმაციის გაცვლისას ფართოდ გამოყენებადი მინიშნებაა, რადგან იგი კომპაქტური და ინფორმაციულია. სწორედ ამიტომ მის გამოყენებას ურჩევენ საერთაშორისო სამეცნიერო რესურსების ავტორიტეტული ბაზები.

ობიექტისათვის DOI-ს მინიჭების დროს შექმნილი ინგლისურენოვანი ანოტაცია და საძიებო სიტყვები განთავსდება ღია მონაცემთა ბაზაში www.doi.org, რაც უზრუნველყოფს სამეცნიერო ნაშრომის ხელმისაწვდომობას მთელი მსოფლიოს მასშტაბით და, შესაბამისად, ზრდის სამუშაოს ციტირების ალბათობას.

როგორ გამოისახება DOI

DOI შედგება პრეფიქსისა და სუფიქსისაგან და აქვს ასეთი სახე:

10.15421/abc1234567890

10 – იდენტიფიკატორის აღმნიშვნელი ნიშნული

15421 – გამომცემელი

abc 1234567890 - ობიექტი

ციფრი 10 - იდენტიფიკატორის ნიშნული, ყოველთვის უცვლელია;

ციფრი „15421“ - პრეფიქსი - გამომცემლის უნიკალური ციფრული აღნიშვნაა, რომელსაც მას ანიჭებს DOI-ს რეგისტრაციის ოფიციალური სააგენტოები ან ამ სააგენტოებთან კონტრაქტით დაკავშირებული გარეშე პირები;

abc 1234567890 - სუფიქსი - კონკრეტული ობიექტის, მაგალითად, სტატიის ან კრებულის უშუალო იდენტიფიკატორია. სუფიქსიც უნიკალურია, მისი განმეორება არ სდება. სუფიქსი შეიძლება შეიცავდეს როგორც ციფრებს და ასოებს, ასევე ცალკეულ ნიშნებს.

როგორ მივიღოთ DOI

რეგისტრაციის მიზნით საჭიროა მიმართოთ ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და ავტორიტეტულ სააგენტოს - CrossRef.org-ს, რომელიც არის პირობითად არაკომერციული ორგანიზაცია, შექმნილი ინტერნეტის ქსელში სამეცნიერო ინფორმაციის ძიებისა და ციტირების ხელშეწყობის მიზნით.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შეხვიდეთ სააგენტოს ოფიციალურ საიტზე და თხოვთ ორგანიზაციის წევრობა: for publishers —> request membership.

შემდეგ უნდა შეავსოთ ფორმა, რომელიც შეიცავს პირად მონაცემებს: გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ.ფოსტა, სამუშაო ადგილი.

განაცხადის გაგზავნის შემდეგ თქვენ მიიღებთ წერილს CrossRef.org- სგან, რომელშიც მოცემული იქნება წევრების მიერ დასაცავი რამდენიმე აუცილებელი პირობა.

სრული ინფორმაცია იხ. საიტზე:

http://www.crossref.org/02publishers/20pub_fees.html

ფასები და მომსახურება

CrossRef.org-ს ფასები და მომსახურება მოცემულია ორგანიზაციის ოფიციალურ საიტზე: <https://www.crossref.org/>.

უპირველეს ყოვლისა, თქვენ უნდა გადაიხადოთ ყოველწლიური საწევრო გადასახადი

(CrossCheck Annual Fees), რომელსაც იხდის არა ცალკეული ჟურნალი, არამედ საგამომცემლო სახლი, სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულება ან თანამშრომელი, რომელმაც გააფორმა კონტრაქტი სააგენტოსთან CrossRef.

თუ გამომცემლის ყოველწლიური შემოსავალი არ აღემატება 1 მლნ დოლარს, წლიური საწევრო გადასახადი შეადგენს \$ 275 ან \$ 330 (55 დოლარი ემატება იმ შემთხვევაში, თუ გასურთ პლაგიატის შემოწმების მომსახურება).

ერთი იდენტიფიკატორის მიღების ღირებულებაა \$1, მაგრამ თუ სტატია გამოცემულია ორ წელზე მეტი ხნის წინ, მაშინ 1 DOI ღირს \$0,15.

თუ გვაქვს მიმდინარე გამოცემის კრებული 30 სტატიით , მისი ღირებულება იქნება \$31 (30+1), ხოლო 2012 წელს გამოცემული იგივე კრებულის ღირებულება - \$4,65.